საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №46/ნ
2021 წლის 7 ივლისი

ქ. თბილისი

,,მასწავლებლობის მაძიებელთა რეგისტრაციის და მასწავლებლობის მაძიებლობის პერიოდის გავლის წესისა და მასწავლებლობის მაძიებლობის პერიოდის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ნიმუშისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 16 აგვისტოს №169/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

,,მასწავლებლობის მაძიებელთა რეგისტრაციის და მასწავლებლობის მაძიებლობის პერიოდის გავლის წესისა და მასწავლებლობის მაძიებლობის პერიოდის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ნიმუშისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 16 აგვისტოს №169/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 19/08/2019, სარეგისტრაციო კოდი: 430210000.22.022.017792) შევიდეს ცვლილება და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლს მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს 2^1 და 2^2 პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2^1. მასწავლებლობის მაძიებელი, მასწავლებლობის მაძიებლობის მოკლევადიან (ინტენსიურ) პროგრამაზე რეგისტრაციის შემდეგ, ამ პროგრამაზე რეგისტრაციიდან არაუმეტეს 2 წლის განმავლობაში, პირადი განცხადების საფუძველზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასთან გაფორმებული იგივე შრომითი ხელშეკრულების ფარგლებში, უფლებამოსილია დარეგისტრირდეს (გადავიდეს) მასწავლებლობის მაძიებლობის გრძელვადიან პროგრამაზე.

2^2. ამ მუხლის 2^1 პუნქტის საფუძველზე მასწავლებლობის მაძიებლის მიერ მასწავლებლობის მაძიებლობის გრძელვადიან პროგრამაზე რეგისტრაციის შემთხვევაში, მასწავლებლობის მაძიებელი თავისუფლდება იმ აქტივობებისაგან, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მასწავლებლობის მაძიებლობის მოკლევადიანი (ინტენსიური) პროგრამის ფარგლებში დადებითად არის შეფასებული.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი — **მიხეილ ჩხენკელი**